

**Tamar Tagvadze, Nino Mindiashvili**  
თამარ თავგაძე, ნინო მინდიაშვილი  
*Caucasus International University*  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
Georgia, Tbilisi  
საქართველო, თბილისი

## **National Paradigms of the Newspaper “Sakartvelo” გაზეთ „საქართველოს“ ეროვნული პარადიგმები**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10841>

Georgian emigrant press made a significant contribution to the formation process of Georgian socio-political thought. The formation of political parties that began in Georgia in the 1890s was preceded by significant changes, which were also expressed in the creation and actions of programs by national forces. Archil Jorjadze's "Common Action Platform" failed to awaken the nation, but the necessity of an action program for the "Tsnobis Purtseli" (Knowledge Sheet) group became apparent. This was accompanied by the group's formation into a political organization, for which the groundwork was prepared by the first printed Georgian emigrant newspaper "Sakartvelo" (Georgia), which was published in Paris from 1903-1905.

As a result of studying the newspaper "Sakartvelo," it is established that the periodical laid the foundation for a culture of discussion with European diplomacy, outlined national paradigms, which subsequently became the cornerstone of Georgian emigrant press.

**Keywords:** emigration, press, newspaper "Sakartvelo," politics, culture

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრაცია, პრესა, გაზეთი „საქართველო“, პოლიტიკა, კულტურა

1901 წელს „ცნობის ფურცლის“ ჯგუფმა ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნისთვის დაიწყო მზადება. თავდაპირველად, ეროვნული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციის მთავარი კომიტეტი აირჩიეს – არჩილ ჯორჯაძის, გიორგი ლასხიშვილის, გიორგი და ანდრია დეკანოზიშვილებისა და ვლადიმერ ლორთქიფანიძის შემადგენლობით. კომიტეტის მიზანი პირველი ეროვნული პოლიტიკური პარტიის შექმნა იყო, მომავალი პარტიის მთავარი მიზანი კი - ქართული სახელმწიფოს აღდგენა. მთავარი კომიტეტი იყო თავისუფალი გაზეთის გამოცემის ორგანიზატორიც, რომელიც საზღვარგარეთ უნდა გამოსულიყო. ამ გაზეთში ჩამოყალიბდებოდა მომავალი პარტიის პროგრამა და ეს ორგანო მოამზადებდა ნიადაგს მისი შექმნისთვის. მთავარი იდეოლოგი არჩილ ჯორჯაძე და გამორჩეული ორგანიზატორი გიორგი დეკანოზიშვილი ასოთამწყობ მიხეილ კვიციანიდან ერთად 1902 წლის გაზაფხულზე პარიზში გაემგზავრნენ. როგორც გიორგი ლასხიშვილის მემუარებიდან ირკვევა, ყველაზე დიდი დაბრკოლება რომელიმე სტამბაში ქართული გაზეთისთვის ადგილის გამოყოფა აღმოჩნდა. მალე გიორგი დეკანოზიშვილი ცნობილ ფრანგ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს – სებასტიან ფორს, ჟერო რიშარს, ჟან ჟორესს და სხვ. დაუახლოვდა და არჩილ ჯორჯაძესთან ერთად საქართველოს მდგომარეობა, მომავალი პარტიისა და თავისუფალი გაზეთის გამოცემის აუცილებლობა გააცნო. მათ არჩილმა არა მხოლოდ ქართული თავისუფალი გაზეთის, მისი ფრანგულენოვანი დამატების – „La Georgie“ გამოცემისთვისაც სთხოვათ დახმარება. „ახალ ნაცნობების შემწეობით ჩვენმა ამხანაგებმა სტამბაც იშოვეს: ანარქო-სინდიკალისტების გაზეთ „Action“-ის რედაქციამ დაუთმო მათ თავისი სტამბის კუთხე. მონ-მარტრის ბულვარზე და-

იქირავეს თავისთვის და რედაქციისთვის ბინა და იქ დაიწყო წინასწარი სარედაქციო თათბირები“ (ლასხიშვილი, 1934, გვ.160); დიდი იყო ამ დროს საფრანგეთში მყოფი ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ანარქისტ ვარლამ ჩერქეზიშვილის მხარდაჭერა. მან დააკავშირა გიორგი დეკანოზიშვილი და არჩილ ჯორჯაძე „Action“-ის რედაქციასთან. 1903 წლის 1 მაისს ქართული ბეჭდური ემიგრანტული პრესის ისტორია გაზეთმა „საქართველომ“ – პარიზში გამოცემულმა თავისუფალმა ორგანომ დაიწყო, „რათა შეგვეძლოს დამოუკიდებლად ვსთქვათ და სხვებსაც ვათქმევინოთ ყველაფერი, რაც საქართველოს აწინდელ უნუგემო მდგომარეობის და მის გაუმჯობესების შესახებ გვაქვს სათქმელი“ („საქართველო“, 1.V.1903); გაზეთი „საქართველო“ ძირითადად, ისტორიული და პოლიტიკური ხასიათის სახელმძღვანელოებში, მონოგრაფიებსა და სტატიებშია მიმოხილული, როგორც საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნის წინაპირობა და შემდეგ, ამ პარტიის ორგანო. მისი, როგორც მედიაპლატფორმის კომპლექსური კვლევა დღემდე არ ჩატარებულა. გაზეთ „საქართველოს“ ყველა ნომრის შესწავლა იმ პარადიგმების წარმოჩენის საშუალებას გვაძლევს, რაც შეინიშნებოდა მისი გამოცემის პროცესში. ისტორიკოს დიმიტრი შველიძის თვალსაზრისით, „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი, როგორც, ეროვნულ-რადიკალური და ბურჟუაზიულ-ეროვნული მიმართულებების გაერთიანება, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას დაუპირისპირდა. საქართველოში რევოლუციურ მოძრაობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათივ ჰქონდა. „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი ეროვნული ძალების შემოკრებას ცდილობდა (შველიძე, 1993); ეს წინ უძღოდა გაზეთ „საქართველოს“ გამოცემას. ისტორიკოს ვახტანგ გურულის აზრით, არჩილ ჯორჯაძისა და მომავალი ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების მოთხოვნის – რუსეთის იმპერიის ცალკეული ერების ავტონომიების ფედერაციად გარდაქმნის მიღწევის საშუალებად „საქართველო“ „საერთო მოქმედების ნიადაგის“ განხორციელებას მიიჩნევდა (გურული, 2019); ისტორიკოსი ალექსანდრე ბენდიანიშვილი თვლის, რომ გაზეთი „საქართველო“ რუსეთის იმპერიის დემოკრატიულ და ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაციას რუსი და ჩაგრული ერების საერთო მიზნად თვლიდა. მთავარ ყურადღებას კი გაზეთი საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ გარდაქმნას უთმობდა. „ავტონომისტები საქართველოს სახელმწიფოებრივი მანქანის განახლებას კონსტიტუციურ-დემოკრატიულ საფუძველზე ვარაუდობდნენ“ (ბენდიანიშვილი, 1999, გვ.164);

გაზეთ „საქართველოს“ ყველა ნომრის დეტალური შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ მისი პუბლიკაციები, შინაარსობრივი და ჟანრობრივი პარამეტრების მიხედვით, ძირითადად, **სარედაქციო წერილები** და **მიმოხილვებია**. გაზეთი პოლიტიკური პარტიის შექმნისთვის ამზადებდა ნიადაგს და ეს მასალებიც პოლიტიკური მჭევრმეტყველების თავისებურებებით არიან აღბეჭდილნი. მათმა სტრუქტურულად, შინაარსობრივად და ჟანრობრივად შესწავლამ და ანალიზმა XX საუკუნის დასაწყისში ახალი ქართული პოლიტიკური რიტორიკის შინაარსის განსაზღვრის, პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მიმართულებების გამოკვეთის საშუალება მოგვცა. გაზეთის ყველა ნომრის შესწავლის შედეგად გამოცემის თემატური და სტრუქტურული ჩარჩო გამოკვეთეთ, შინაარსობრივი ანალიზით განვსაზღვრეთ მედიატექსტებში პოლიტიკური დისკურსის ასახვის თავისებურები. საკვლევი ტექსტების სისტემატიზაციის შედეგად ჩამოვყალიბეთ მათი ჟანრობრივი სტრუქტურა. გაზეთ „საქართველოს“ სარედაქციო წერილები პოლიტიკური მჭევრმეტყველების დარგს მიეკუთვნება, მკვეთრადაა გამოხატული მათი პროგრამულობა და მიზანდასახულობა. რიტორიკის ოთხი მთავარი მიზნიდან – დარწმუნება, ინფორმირება, გამოხატვა და გართობა – პირველი სამი შეესაბამება გაზეთ „საქართველოს“ მედიატექსტებს. მისი სარედაქციო წერილები პოლიტიკური მჭევრმეტყველების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჟანრებს მიეკუთვნება. 1 წლის განმავლობაში - 1903 წლის 1 მაისიდან 1904 წლის 1 აპრილამდე - ჟენევის კონფერენციამდე, რომელიც „საქართველოს“ ინიციატივით გაიმართა და რომელზეც დაარსდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, გაზეთი იმ პროგრამას აყალიბებდა, რაც საფუძვლად დაედო მომავალ პარტიას. მისი შექმნის შემდეგ „საქართველო“ უკვე პარტიის გამოცემაა. ჟენევაში გამართულ „ქართველ სარევოლუციო ჯგუფთა პირველ კონფერენციაზე“ „საქართველომ“ თავისი პროგრამა განმარტა, რომლის პირველ ნაწილს ეროვნული მხარე წარმოადგენდა. ეს იყო რუსეთის თვითმპყ-

ბელობისგან ეროვნული ვინაობის დაცვის საშუალებების გამოკვეთა. მეორე ნაწილი ეკონომიკური მდგომარეობის „გამორკვევა“, სოციალური ნიადაგის განმარტება იყო. „პროგრამის პირველ ნაწილს მხედველობაში აქვს გარე მტერი და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი, ხოლო პროგრამის მეორე ნაწილს მხედველობაში აქვს ხალხის შინაური მტერი ესე იგი ყოველი ჩვენი შინაური სოციალური წეს-წყობილება...“ („საქართველო“, 15.IV.1904); გაზეთის მიზანი რუსეთის მიერ საქართველოში გამოვლენილი ძალმომრეობისა და უსამართლობის გამოაშკარავება და ქართველი ხალხის მომავალი სოციალური და ეროვნული ორგანიზაციის პროგრამის ჩამოყალიბება იყო. „საქართველო“ მზად იყო, ადგილი დაეთმო ყველასთვის, ვისაც ქვეყნის საკეთილდღეოდ რამის თქმა სურდა. თვლიდა, რომ თავისუფალი ემიგრანტული გაზეთის გამოცემით, ქართულ პოლიტიკურ აზრს თავისუფალი გამოხატვის საშუალება მიეცა. თუ მოხერხდებოდა რუსეთის ოპოზიციურ ძალებთან შეთანხმება და საქართველოსადმი ევროპის თანაგრძნობის მოპოვება, განხორციელდებოდა გაზეთის მიზანი. რუსეთის ოპოზიციურ-რევოლუციურ და ლიბერალურ ძალებს, რომელთა მოძრაობა, ერთის მხრივ, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განთავისუფლებისკენ იყო მიმართული, მეორე მხრივ, კი რუსეთის საზღვრებში მყოფი პატარა ერების ჩაგრული მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, „საქართველომ“ „ბრძოლის საერთო ფერხულში“ ჩაბმის სურვილით მიმართა. გაზეთის მკვეთრად გამოხატული პოზიცია იყო ამ გზით რუსეთის თვითმპყრობელობისგან განთავისუფლებისთვის ხელშეწყობა და საქართველოს ეროვნული ვინაობის აღდგენა. პირველივე ნომერში გაჟღერდა, რომ ქართველ ხალხს თვითონ სურდა საკუთარი თავის დაცვა. „ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება - განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი კონსტიტუციის მოპოვებაა“ („საქართველო“, 1.V.1903); ქვეყანა დარჩებოდა რუსეთის პოლიტიკურ ჩარჩოში, მაგრამ შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. „ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“ („საქართველო“, 1.V.1903); პოლიტიკური მჭევრმეტყველებისთვის დამახასიათებელი მიზანდასახულობით გამოხატავდნენ „საქართველოს“ სარედაქციო წერილები მისი ეროვნული პროგრამის ძირითადი მიმართულებებს. ავტონომიის მოპოვებას გაზეთი რუსეთის დეცენტრალიზაციასა და მომავალ ფედერაციულ წეს-წყობილებას უკავშირებდა და რუსეთის თავისუფალ პრესასაც ამ მიზნით სთხოვდა, საკითხთან დაკავშირებით ემსჯელა. „საქართველო“ პოლიტიკური რეალიზმის გათვალისწინებით, პოლიტიკურ სეპარატიზმს, რუსეთისგან საქართველოს „სრულ განშორებას“ უარყოფდა. მიაჩნდა, რომ როგორი დემოკრატიული კონსტიტუციაც უნდა დამყარებულიყო რუსეთში, საკოლონიზაციო პოლიტიკაზე ის მაშინვე ხელს არ აიღებდა. გაზეთი ქვეყნის ავტონომიას ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფორმით განიხილავდა და ავტონომიური საქართველოს საზღვრების დადგენისას, ერთის მხრივ, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით ხელმძღვანელობდა. ტრაქტატის მიხედვით, რუსეთს უერთდებოდა ქართლ-კახეთი და განჯის გუბერნიის ნაწილი. ამავე ტრაქტატის ძალით, საქართველოს უნდა დარუნებოდა სამცხე-საათაბაგო და აჭარა, რომლებიც მაშინ ოსმალთა ხელში იყო. მეორე პრინციპის მიხედვით, ავტონომიური საქართველოს ფარგლებში ასევე უნდა მოქცეულიყო ის ტერიტორია, სადაც ქართველი ხალხი ცხოვრობს: „აფხაზეთი, რომელშიაც ბევრი მეგრელი სახლობს, სამურზაყანო, სამეგრელო, სვანეთი, გურია, იმერეთი, ლაზისტანის ნაწილი, ახალციხის მაზრა (ძველი სამცხე-საათაბაგო და ჯავახეთი), ქართლი, მთიულეთი, ხევი (დარიალამდე), სომხითი, კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, საინგილო“ („საქართველო“, 15.V.1903); გაზეთის ეროვნულ პროგრამაში უმნიშვნელოვანესი ქართული ენის დაცვა იყო. „ქართულ ენას საქართველოს საზღვრებში სავალდებულო ხასიათი უნდა მიეცეს“ („საქართველო“, 15.V.1903); ყველა ეროვნულ დაწესებულებაში, სკოლებში, სასამართლოში, ეკლესიაში, ყველგან ქართული ენა უნდა ყოფილიყო აღიარებული. ეს გაზეთის ეროვნულ პროგრამაში არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის“ რეალიზებად შეიძლება, განვიხილოთ. ამ თეორიის პირველ პუნქტში ის ქართული ენის დაცვას „მთელი ჩვენი ეროვნული ხასიათის“ გადარჩენასთან აიგივებდა („ცნობის ფურცელი“, 21.III.1903); „საქართველოს“ თვალსაზრისით, დაცული იქნებოდა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენელთა ინტერესები, „მიეცეს სრული უფლება იმ ენაზედ ილაპარაკონ, რა ენაც მათ უფრო ეხერხებათ“ („საქართველო“, 15.

V.1903); გაზეთი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხსაც ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოპოვების ფარგლებში განიხილავდა. ასევე თვლიდა, რომ მომავალი ფედერაციული რუსეთის კონსტიტუციაში განსაზღვრული უნდა ყოფილიყო, რა დამოკიდებულება ექნებოდა მასთან საქართველოს. ეროვნული ავტონომია „საქართველოს“ პოლიტიკური თვალსაზრისი იყო. მისი საშუალებით მოხდებოდა ეროვნული ვინაობის დაცვა, რაც ეკონომიკური მდგომარეობის რადიკალურად შეცვლის საფუძველი გახდებოდა. „ამრიგად ჩვენს დროშაზედ ორ სიტყვას ვაწერთ: ეროვნული თვით-მმართველობა და დემოკრატია“ („საქართველო“, 15.V.1903); თავისი ეროვნული პროგრამის განხორციელებას ქვეყნის აღორძინებას უკავშირებდა გაზეთი. ამ ბრძოლაში მას შეუძლებლად მიაჩნდა საქართველოს ყველა წოდებისა და კლასის შეთანხმებული მოქმედება. მხოლოდ მათ მოუწოდებდა გაერთიანებისკენ, ვინც უარყოფდა წოდებრივი და ბურჟუაზიული მოქმედების ნიადაგს. ბრძოლის ნიადაგი კი არალეგალური მოქმედება უნდა ყოფილიყო. მე-4 ნომერში უკვე გაჩნდა მოწოდება: – „მაშ გაუმარჯოს ქართულ რევოლუციას“ („საქართველო“, 15.VI.1903); „საქართველოს“ თვალსაზრისით, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის შედეგი დეცენტრალიზებული სახელმწიფო, ფედერაციული რუსეთი იქნებოდა. მის ფარგლებში მოიაზრებდა გაზეთი ავტონომიურ საქართველოს. ფედერალიზმის საშუალებით, ქვეყანას თვითმოქმედების შესაძლებლობა მიეცემოდა და ასევე მეზობელ ერებს შეეძლოთ გამაერთიანებელი პოლიტიკური მმართველობის ფორმის შექმნა. „ამ ფედერალიზმის ფარგალში თავდაპირველად ამიერ-კავკასიის ერნი შევლენ, როგორც უფრო დაახლოვებულნი და შეკავშირებულნი ერთმანეთში, ხოლო თან-და-თან, აშკარაა, ფედერაციულ ორგანიზმის ფარგალი გაფართოვდება და შიგ მოთავსდებიან ყველა კავკასიის ერნი“ („საქართველო“, 1. I. 1903); 1874 წელს ქენევაში გამართულ კავკასიელ მოღვაწეთა კონგრესზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებების უმრავლესობამ, ხალხოსნების გარდა, მხარი დაუჭირა რუსეთისგან დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას. ამ მოვლენიდან სამი ათეული წლის შემდეგ კი გაზეთ „საქართველოს“ მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოდელი ასე გამოიყურებოდა: – საქართველოს ავტონომია, ამიერ-კავკასიის და შემდეგ მთელი კავკასიის ფედერაცია და რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა. „სხვა-და-სხვა მიმართულების წერილების მოთავსების საშუალებით შევძლებთ გავიგოთ, რას ჰფიქრობს მთელი საქართველო და არა ერთი რომელიმე მისი კუთხე, პროვინცია, წოდება და კლასი“ („საქართველო“, 1.I.1903); ამ დანაპირებს არ დალატობდა გაზეთი. თავის მთავარ მოთხოვნაზე – საქართველოს ავტონომიაზე განსხვავებულ შეხედულებებსაც ხშირად ვხვდებით „საქართველოს“ ფურცლებზე და ასე ჩამოყალიბდა „ქართული თავისუფალი აზრის“ პარადიგმა. მაგალითად, ერთ-ერთი ავტორი – „სეპარატისტი“ – თვლიდა, რომ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა ევროპის სახელმწიფოების ხელშეწყობით უნდა მოეპოვებინა. ეს ევროპის ინტერესიც უნდა ყოფილიყო, რადგან პოლიტიკურად თავისუფალი საქართველო ევროპისკენ მიმართული რუსეთის აგრესიული პოლიტიკის წინაღობა იქნებოდა. ევროპისთვის კი ჩვენი ქვეყანა იმ შემთხვევაში აღმოჩნდებოდა საინტერესო, თუ მის მისწრაფებას შეუწყობდა ხელს. „ჩვენი ბედი და მომავალი რუსეთს კი არა, ევროპას უნდა შევუკავშიროთ; ამაშია ჩვენი ეროვნული ხსნა. ეს არის ქართველის მოვალეობა მამულის წინაშე და ღმერთმა გვაშოროს ყოველგვარი კომპრომისი რუსეთთან“ („საქართველო“, 1.I.1904); „ვინც თხოულობს მარტო ეროვნულ დამოუკიდებლობას, იგი თხოულობს ნახევარ უფლებას“ („საქართველო“, 15.V.1903); – ფიქრობდა სხვა ავტორი – „კორესპონდენტი“ და ქართველი ერის სრული თავისუფლების მოპოვებას, შემდეგ კაპიტალისტური წყობილებისა და ქონებრივი უთანასწორობის მოსპობასა და საქართველოში სოციალისტური წყობილების დამყარებას ქვეყნის მთავარ მიზნებად თვლიდა. „ძველი მოღვაწე“ „საქართველოს“ რედაქციას ეკითხებოდა, ნუთუ, გჯერათ, რომ რუსეთი თავის ქვეშევრდომ ერებს ავტონომიას ნებით მისცემსო. მისი პროგრამა ასე გამოიყურებოდა: კავკასიის სრული თავისუფლება, კავკასიის ერთა ფედერაცია და ევროპის მფარველობა კავკასიის ერთა ფედერაციისთვის („საქართველო“, 1.V.1903);

„საქართველოს“ მედიატექსტების სისტემატიზებისა და შინაარსობრივი ანალიზის მიხედვით კლასიფიკაციის შედეგად იკვეთება, რომ გაზეთმა თავისი ეროვნული პროგრამის მთავარ მიმართულებებად ავტონომია და ფედერალიზმი წარმოადგინა. მისი თვალსაზრისით, რადგან ავტო-

ნომია პოლიტიკური ფორმაა, ის ეკონომიკური უთანასწორობის მოსპობას არ გულისხმობს. შეიძლება, სახელმწიფომ მოიპოვოს ავტონომია, მაგრამ ამან ხალხის სოციალური პირობები ვერ შეცვალავს. ამიტომ ეროვნულ პროგრამასთან ერთად გაზეთი სოციალური პროგრამის შექმნასაც შეუდგა. სარედაქციო წერილებში თანმიმდევრულად აყალიბებდა, როგორ უნდა მიეღწიათ სრული ეკონომიკური თავისუფლებისთვის და ამ მიზნით, ავტონომიური პარლამენტის საშუალებით, რა რეფორმები უნდა განხორციელებულიყო. ისევე როგორც ეროვნული, სოციალური პროგრამის ჩამოყალიბების შემთხვევაშიც, „საქართველოს“ სარედაქციო წერილებს პოლიტიკური მჭევრმეტყველებისთვის დამახასიათებელი პროგრამულობა აქვთ.

თავისუფალი გაზეთის – „საქართველო“-ს ფრანგულენოვანი დამატების – „La Georgie“ – საშუალებით, რედაქცია თვლიდა, რომ ევროპას გააცნობდა საქართველოს. იმ დროს ქვეყანა ევროპული დიპლომატიის მოქმედების არეალში არ იყო. არც მისი ეროვნული საკითხი განიხილებოდა საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში, რადგან ევროპას არ ჰქონდა განზრახვა, რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. „თუ გამოსარჩლების იმედს ვერ ვიქონიებთ, ჩვენთვის ევროპის ზნეობრივი თანაგრძნობაც ძვირფასი იქმნებოდა, რადგან ამ თანაგრძნობით გავამხნევებდით და წავახალისებდით უსასო, დაჩაგრულ პატარა ერს“ („საქართველო“, 1.V. 1903); „საქართველოს“ გამოცემის შემდეგ ევროპის დემოკრატიული ძალების მორალური თანაგრძნობა, მართლაც, სახეზე იყო. მე-4 ნომრიდან გაზეთი ხშირად ბეჭდავდა იმ გამოხმაურებებს, როგორც ევროპელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები და პრესა შეხვდნენ პარიზში ქართული თავილუფალი გაზეთისა და მისი ფრანგულენოვანი დამატების გამოსვლას. მათ შორის იყვნენ საფრანგეთის პალატის დეპუტატი ანტიდ ბოიერი, საფრანგეთის აკადემიის წევრი ანატოლ ლერუა, ფრანგი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე ელიზე რეკლიუ, დანიელი ლიტერატურათმცოდნე გეორგ ბრანდესი და სხვ. „La Geogrie“ ევროპული დემოკრატიული პრესის ფურცლებზე შეფასდა, როგორც ორგანო, რომელშიც საქართველოს საჭიროებები აისახა და თავისი პოლიტიკური პროგრამა ორ სიტყვაში გამოხატა – ეროვნული ავტონომია („საქართველო“, 15.VI.1903); ფლანდრიული სამეცნიერო ჟურნალი – „Onwaking“ – „საქართველოს“ იმ ორგანოდ მიიჩნედა, რომლის საშუალებითაც ქართველებს ევროპის ყურადღების მიპყრობა სურდათ. ქვეყანა ადმინისტრაციულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას ითხოვდა და თვითმპყრობელ ცენტრალიზაციას რუსეთში შემავალი სხვადასხვა ერების ფედერაციის იდეას უპირისპირებდა. ცნობილი დანიელი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე გეორგ ბრანდესი თვლიდა, ქართველების გამოფხიზლება იმის ნიშანია, რომ რუსეთის თვით-მპყრობელობის დღეები დათვლილია. თუმცა, რთულია იმის თქმა, როდის მოეღება მას ბოლო („საქართველო“, 1.VII.1903); ფრანგი სოციალისტების ორგანო – „la Petite Republique“ – რუსეთის ძალმომრეობის ორ მხარეზე ამახვილებდა ყურადღებას. ერთი მხრივ, ის მთელ იმპერიაში სდევნიდა პოლიტიკურ მოძრაობას და მეორე მხრივ, მასში შემავალი პატარა ერების ეროვნული ფიზიონომიის გაქრობას ცდილობდა. გაზეთი „საქართველოს“ პოლიტიკურ პროგრამას სამართლიანად მიიჩნედა. თვლიდა, რომ როცა თვითმპყრობელობისგან განთავისუფლებული რუსეთი ფედერაციულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა, ქართველები თავის ეროვნულ ცხოვრებას თავისუფლად განავითარებდნენ („საქართველო“, 1.VIII.1903); ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ევროპულ პრესაში საქართველოს პოლიტიკური უფლებების შესახებ მსჯელობდნენ. საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების საკითხს მასში ადგილი „საქართველოს“ ფრანგულენოვანი დამატების – „La Georgie“ – გამოსვლის შემდეგ დაეთმო. შეფასებების ანალიზით ირკვევა, რომ ცნობილმა ევროპელმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა და ევროპულმა პრესამ პარიზში „საქართველოს“ გამოცემა მიიჩნიეს ქვეყნის სურვილად, რომ ევროპას მისი მდგომარეობის შესახებ სცოდნოდა. „საქართველოს“ მედიაპლატფორმა პოლიტიკური შინაარსის იყო. მისი მედიატექსტების შესწავლისას პოლიტიკური დისკურსის შემდეგი მიმართულებები იკვეთება: თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ საქართველოში უნდა დამყარებულიყო დემოკრატიული ავტონომია და დაუყოვნებლივ, დაწყებულიყო სოციალიზმის პროპაგანდა. გაზეთის ეროვნულ-პოლიტიკურ პლატფორმას შეესაბამება მისი მუდმივი რუბრიკები: „ჩვენის ცხოვრების მატთანე“, „მუშათა მოძრაობა საქართველოში“, „ქართულ ცხოვრების მატთანე“, „გლახთა მოძრაობა საქართველოში“. პერიოდულ-

ლად, სხვა რუბრიკებსაც ვხვდებით: „საქართველოს ფოსტა“, „თავისუფალი წერილები“, „სხვა-და-სხვა ამბები“, „განცხადება“ და სხვ. ძირითად რუბრიკებში აქტუალური მოვლენების მიმოხილვისას რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგები იკვეთება. „საქართველო“ ქართველთა ინტერესების დამცველ ორგანოდ ესახებოდათ მასში გამოქვეყნებული წერილების ავტორებს. იმედი ჰქონდათ, რომ „ყოველი მისი სიტყვა საქართველოს ხალხის სურვილ-მისწრაფებათა გამომსახველი, ალტაცებით იქნება მოსმენილ მკითხველის-მიერ“ („საქართველო“, 15.V.1903); გაზეთის პოზიცია მისი მედიატექსტების მიხედვით ფორმულირდებოდა, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის – საქართველოს უნდა ჰქონდეს ავტონომია.

1903 წლის 1 მაისიდან 1905 წლის 15 მაისამდე „საქართველომ“ ჯერ თანმიმდევრულად დასახუთა თავისი ეროვნულ-პოლიტიკური პლატფორმა, რაც იმდროინდელ ქართულ ლეგალურ პრესაში შეუძლებელი იყო, პირველი ეროვნული პარტიის შექმნისთვის მოამზადა ნიადაგი და 1904 წლის აპრილიდან საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ორგანო გახდა. „მაშ გაუმარჯოს ქართულ თავისუფალ აზრს! გაუმარჯოს სინათლეს და თავისუფალ მოქმედებას“ („საქართველო“, 1.V.1903); ეს მოწოდება პირველი ბეჭდური ქართული ემიგრანტული გაზეთის მთავარი მიზანი იყო და მისი ყველა პუბლიკაცია ამ მიზანს ემსახურებოდა. ის პარადიგმები კი, რაც „საქართველოს“ გამოცემისას გამოიკვეთა, შემდგომი პერიოდის ქართული ემიგრანტული პრესის საფუძვლად იქცა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ბენდიანიშვილი, ა. (1999) საქართველოს ისტორია. თბილისი: „განათლება“.  
გურული, ვ. (2019) საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918). თბილისი: თსუ.  
ლასხიშვილი, გ. (1992) მემუარები. თბილისი.  
(1903, მაისი 1) საქართველო  
(1903, მაისი 15) საქართველო  
(1903, ივნისი 1) საქართველო  
(1903, ივლისი 1) საქართველო  
(1903, აგვისტო 1) საქართველო  
(1904, იანვარი, 1) საქართველო  
შველიძე, დ. (1993). პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. თბილისი: „არსი“.

#### References:

- Bendianishvili, A. (1999). Sakartvewlos ist'oria. [History of Georgia]. Tbilisi: „Ganatileba“.  
Guruli, V. (2019). Sakartvelos akhali ist'ria. [New History of Georgia (1801-1918)]. Tbilisi: TSU.  
Laskhishvili, G. (1934). Memuarebi. [Memoirs]. Tbilisi.  
(1903, Maisi 1). Saqartvelo. [Newspaper „Sakartvelo“, May 1].  
(1903, Maisi 15). Saqartvelo. [Newspaper „Sakartvelo“, May 15]. 1903.  
(1903, Ivnisi 1). Saqartvelo. [Newspaper „SakArtvelo“, June 1].  
(1903, Ivlisi 1). Saqartvelo. [Newspaper „Sakartvelo“, July 15].  
(1903, Agvisto 1). Saqartvelo. [Newspaper „Sakartvelo“, August 1]. 1903.  
(1904, Ianvari 1). Saqartvelo. [Newspaper „Sakartvelo“, January 1]. 1904.  
Shvelidze, D. (1993). P'olit'ik'uri p'art'iebis ts'armoshoba Sakartveloshi. [The origin of Political Parties in Georgia]. Tbilisi: „Arsi“.